ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2024 წლის II კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 13 892,7 ათ. ლარი, ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის იყო 4 336,8 ათ. ლარი საიდანაც ექვს თვეში გაიწერა 3 888,6 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის II კვარტლის გეგმამ შეადგინა 17 781,3 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2024 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 13 892,7 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 9 807,6 ათ. ლარი (71%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 540,0 ათ. ლარი - ფაქტი 604,7 ათ. ლარი (112%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 4 030,0 ათ. ლარი - ფაქტი 3 736,9 ათ. ლარი (93%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 8 984,0 ათ. ლარი - ფაქტი 5 202,2 ათ. ლარი (58%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 308,7 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 260,1 ათ. ლარი (84%), აქედან: პროცენტის გეგმა 138,0 ათ. ლარი - ფაქტი 74,7 ათ. ლარი (54%); რენტა გეგმა 67,0 ათ. ლარი - ფაქტი 47,1 ათ. ლარი (70%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 11,5 ათ. ლარს ფაქტი 8,8 ათ. ლარი (76%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 7,2 ათ. ლარი - ფაქტი 5,6 ათ. ლარი (78%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,0 ათ. ლარი (45%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 65,0 ათ. ლარი, შემოვიდა 115,0 ათ. ლარი (177%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 3.6 ათ. ლარი (12%)

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 17 781,3 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 11 286,7 ათ. ლარი (63%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 2 176,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 929,3 ათ. ლარი (89%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 582,0 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 546,4 ათ. ლარი (94%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 505,1 ათ. ლარი - ფაქტი 1 377,2 ათ. ლარი (92%); სარეზერვო ფონდის გეგმა 76,9 ათ. ლარი; წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა 2,9 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.6 ათ. ლარი (98%); ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის გეგმამ შეადგინა 4,0 ათ. ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 13 261,9 ათ. ლარი - ფაქტი 7 451,8 ათ. ლარი (56%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 3 036,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 802,4 ათ. ლარი (59%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 247,4 ათ. ლარი - ფაქტი 241,1 ათ. ლარი (97%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 36,0 ათ ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 475,1 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 99,0 ათ. ლარი - ფაქტი 59,9 ათ. ლარი (61%);

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 41,0 ათ. ლარი - ფაქტი 27,8 ათ. ლარი (68%);

- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 117,1 ათ. ლარი - ფაქტი 116,4 ათ. ლარი (99%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 19,5 ათ. ლარი - ფაქტი 15,5 ათ. ლარი (79%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 370,9 ათ. ლარი - ფაქტი 269,2 ათ. ლარი (73%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 599,4 ათ. ლარი - ფაქტი 176,0 ათ. ლარი (29%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 1 898,5 ათ. ლარი - ფაქტი 460,2 ათ. ლარი (24%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 330,0 ათ. ლარი - ფაქტი 270,8 ათ. ლარი (82%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერის გეგმა 250,0 ათ. ლარი - ფაქტი 119, 7 ათ. ლარი (48%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 4 527,4 ათ. ლარი - ფაქტი 2 926,0 ათ. ლარი (65%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 824,1 ათ. ლარი - ფაქტი 751,6 ათ.ლარი (91%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 340,0 ათ. ლარი - ფაქტი 215,2 ათ. ლარი (63%).

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ მომხდარა.

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 444,2 ათ. ლარს, ფაქტი 408,9 ათ. ლარი (92%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 362,0 ათ. ლარი - ფაქტი 344,8 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 79,2 ათ. ლარი, ფაქტი 64,1 ათ. ლარი (81%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 3,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 429,0 ათ. ლარი - ფაქტი 363,7 ათ. ლარი (85%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 244,2 ათ. ლარი - ფაქტი 237,9 ათ. ლარი (97%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 56,5 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 121,6 ათ. ლარი - ფაქტი 121,6 ათ. ლარი (100%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებების გეგმა 6,7 ათ. ლარი - ფაქტი 4,2 ათ. ლარი (63%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 068,4 ათ. ლარი - ფაქტი 861,5 ათ. ლარი (81%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 115,0 ათ. ლარი - ფაქტი 110,5 ათ. ლარი (96%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 82,0 ათ. ლარი - ფაქტი 73,1 ათ. ლარი (89%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 33,3 ათ. ლარი (67%);

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 6,0 ათ. ლარი - ფაქტი 2,9 ათ. ლარი (48%);

- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში გეგმა 158,9 ათ. ლარი - ფაქტი 154,8 ათ. ლარი (97%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 56,0 ათ. ლარი - ფაქტი 39,8 ათ. ლარი (71%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 34,5 ათ. ლარი - ფაქტი 32,8 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 225,0 ათ. ლარი - ფაქტი 188,6 ათ. ლარი (84%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 45,0 ათ. ლარი - ფაქტი 41,8 ათ. ლარი (93%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 57,0 ათ. ლარი - ფაქტი 47,8 ათ. ლარი (84%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 31,0 ათ. ლარი - ფაქტი 28,2 ათ. ლარი (91%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 41,2 ათ. ლარი, ფაქტი 35,7 ათ. ლარი (87%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 114,7 ათ. ლარი - ფაქტი 38,7 ათ. ლარი (34%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 47,0 ათ. ლარი - ფაქტი 33,5 ათ. ლარი (71%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 5,0 ათ. ლარი, შესაბამისი პერიოდისთვის ხარჯი არ გაწეულა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 401,3 ათ. ლარი - ფაქტი 271,5 ათ. ლარი (68%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 90,0 ათ. ლარი - ფაქტი 32,0 ათ. ლარი (36%);

სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 311,3 ათ. ლარი - ფაქტი 239,5 ათ. ლარი (77%). აქედან:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 76,8 ათ. ლარი - ფაქტი 75,7 ათ. ლარი (99%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 14,4 ათ. ლარი - ფაქტი 12,4 ათ. ლარი (86%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 43,0 ათ. ლარი - ფაქტი 31,8 ათ. ლარი (74%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,5 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 95,0 ათ. ლარი - ფაქტი 46,0 ათ. ლარი (48%).

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 3,6 ათ. ლარი - ფაქტი 1,7 ათ. ლარი (47%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 2,8 ათ. ლარი - ფაქტი 0,9 ათ. ლარი (32%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 1,5 ათ. ლარი (30%).

- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების გეგმა 66,2 ათ. ლარი - ფაქტი 66,0 ათ. ლარი (100%)

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 4,0 ათ. ლარი - ფაქტი 3,5 ათ. ლარი (88%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურუთში მეწყრული პროცესების შედეგად დაზიანებული მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 18,7 ათ. ლარი; ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული სავარჯიშო მოედნის (ტრენაჟორები) რეაბილიტაციისათვის 16,7 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.07.2024წ.) ნაშთი შეადგენდა 2 409,5 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 948,4 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 461,1 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი